



...

სახელი — ნოდარ
 გვარი — ღუმბაძე
 მამის სახელი — ვლადიმერის ძე
 სამსახური — კოსმოსი, ზღვა, ხმელეთი, ხანდახან — მიწისქვეშეთი
 პასპორტი — უსაბუთო
 სისხლის ჯგუფი — უსისხლო
 რეზუს-ფაქტორი — ურეზუსო
 დარეკეთ მხოლოდ ეკლესიის ზარით

...

საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშთან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულ ბედაურს, თან ისე ლამაზ მდელოზე და გამო-საჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა შეაჯღეს, ლაგამი ამოს-დოს და სარდლის ყიჟინით და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თეითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნადირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შეიჯენს ხოლმე და იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, გაღ-მოაგლებს და ძირს დაანარცხებს. ბევრი მინახავს ასეთი.

...

საოცარი ფრინველია მერცხალი. ერთიც რომ იყოს, ცა სავსეა. ასევეა არწივიც, ოღონდ არწივი იპყრობს ცას იღუმალებით, მერცხა-ლი კი — სიხალისით. ეს რომ ასეა, ამას ისიც ამტკიცებს: თოვლის მოსვლის წინ ცა თითქოს სავსეა ჭილყვაკებით და მაინც უსაშველოდ ცარიელია.

...

ცხოვრება მესაათის ბუღრუგანას ჰგავს. ჩვენ, ადამიანები მის ვიტრინაში გამოფენილ შესაკეთებელ, სხვადასხვა ფორმის, ჯურის, ფორმის, ზომის, წონის და მექანიზმის მქონე საათებს... ზოგი მათ-განი უზომოდ გაცვეთილია და მოშლილია სამუდამოდ. ზოგი წინ გარ-ბის, ზოგი უკან რჩება, ზოგს ზამბარა აქვს გაწყვეტილი... ზოგს რა სჭირდება და ზოგს — რა. ზოგი რა დეტალის გამოცვლას საჭიროებს



და ზოგი — რისას. ერთ მარადიულ უზარმაზარ უზომო ჟამში, ღვთაე-
ბაში გაჩერებულია თუ წიკწიკებს თითოეული ჩვენთაგანი, ვითარცა
ჟამთააღმწერელი და აღმწესველი. მესაათე კი, ვითარცა ღვთაება,
ზის, ხელისგულზე უდევს ჩვენი ერთი ციცქნა სხეული. უზარმაზარი
ღვთიური თვალით — გამადიდებელი შუშით გვათვალიერებს დიდ-
ხანს, ხანდახან არცთუ ისე დიდხანს, ხანდახან უბრალოდ დაგვხე-
დავს და თუ სთქვა — ამას აღარაფერი ეძველებაო — და გვერდზე
გადასდო, გათავებულია ჩვენი საქმე.

...

ისე ეშინოდა სიბერის, რომ სიამოვნებით მოჰკურცხლავდა ბავ-
შეობისაკენ, მაგრამ საუბედუროდ, ბავშვობა არ ჰქონდა, და რაც მთა-
ვარია, ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ იდგა, ელოდა და კანკალებდა.

...

მე მზე მივეარს ძალიან, მაგრამ მზე მიწაში ვერ აღწევს. ამი-
ტომ, ბუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მიწას კი არა, ცას მივაშურო
— ცაში წავიდე.

...

მე მგონი, მზე ზეცის ვეება ტრამალზე ანთებული კოცონია, ხოლო
მის გარშემო მბრუნავი პლანეტები — ცლომილები (შვიდი ცლომილი,
ალბათ, თავისი თანამგზავრებით) ცის ის ბინადარნი — რომლებიც
ხელს და სულს ითბობენ ამ მაცოცხლებელი ცეცხლის გარშემო.
დროდადრო შორდებიან, მერე კვლავ უახლოვდებიან და ასე შემ-
დეგ... ვაი იმ ცლომილს, რომელიც ამ კოცონს საერთოდ გაშორდება.

...

საოცარია ხელოვნება — მხოლოდ მას შეუძლია მოითმინოს და
შეიფაროს სულით ავადმყოფთა მრავალმილიონიანი არმია, კაცობ-
რიობის თითქმის მესამედი. განა სხვა რომელიმე პროფესიას აქვს
ამის უნარი, არა, იგი ნორმიდან ერთი სანტიმეტრით, ერთი გრადუსით
გადახრილ ადამიანსაც კი ვერ ითმენს. ხელოვნება და პოლიტიკა
კი მთელი 180 გრადუსით გადახრილ ადამიანებს ხშირად გენიოსის



შარავანდელით ამკობს და თავყანს სცემს. აი, რა არის ხელოვნება
— გარდა ჭეშმარიტი ტალანტებისა, სულით ავადმყოფთა თავშესა-
ფარიც არის. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის სულიერი
ცხოვრების სამყაროს მიეკუთვნება და არა მატერიალურს.

...

დიდი ხნის წინ მოვიკლავდი, ბატონო, თავს, მაგრამ არ მინდა
მკვლელი გავხდე, თანაც ისეთი უდანაშაულო ადამიანისა, როგორ-
იც მე ვარ. ძნელია ჩემნაირი კაცის სისხლი და ცოდვა ელოს კაცს
კისერზე.

ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ასეთ ნადირალაზე როგორ გავისვარო
ხელი-მეთქი.

...

ღმერთმა მოქანდაკეს ტალახიდან ადამიანის კეთება კი ასწავლა,
მაგრამ სულის შთაბერვა არ ასწავლა. ეგეც რომ ესწავლებინა, ადა-
მიანი ღმერთს აღარ იწამებდა.

...

ხანდახან უცნაური გრძნობა შემიპყრობს — მინდა ისეთი ერის
პატარა შვილი ვიყო, დამოუკიდებლობის პრეტენზია არ მქონდეს,
ხოლო სხვას — ჩემი ქვეყნის დაპყრობის სურვილი. ო, რა ბედნიერე-
ბა იქნებოდა ასეთი ყოფნა!

...

დაბადება — თავისთავად არის უსაზღვრო ლტოლვა თავისუფ-
ლებისაკენ და სინათლისაკენ და რა ძნელია და მტკივნეული ეს პრო-
ცესი, მხოლოდ მშობიარე ქალმა იცის.

ჩვენ ხშირად ვხდებით ამ პროცესის მოწმენი, მაგრამ ამაზე არა-
სოდეს გვიფიქრია.

...

— ლასა მოკვდა, წადი, ნახე ბიჭო!
მივედი, ვნახე, ლასა ცოცხალი დამხვდა. ერთად წავედით



კირილეს სამძიმარზე.

ასე განმეორდა ბევრჯერ... ას წელს იცოცხლა ლასამ.

...

კახეთში ვიყავი, ჭავჭავაძეების მამულში. ფრანგი ტურისტები შემოვიდნენ. ქალები ახლდნენ ფრანგებს გრაციოზულნი, ნარნარნი და ჰაეროვანნი. საღამოს ბანკეტზე დათვრნენ საცოდავები და ქართველის გაგებით „უზნეოდ“ იქცეოდნენ, კოცნიდნენ გლეხებს. აივანზე გამოვედი.

ერთი შეზარხოშებული კახელი ელაზღანდარებოდა მეორეს.

— თელო, ერთი მაგ მადმუაზელსა მანდ მიახილე!!! — თან ქირქილებდა.

ღმერთო, როგორ მიყვარან ეგ კახელები, რა გულუბრევილო, პირდაპირი და განსაცვიფრებელი იუმორი აქვთ.

...

ჩემში ეჭვს იწვევს — ღირს თუ არა იმის გამო ტირილი, რაც სულერთია ახლა აღარ იქნებოდა. ეს მახსოვრობის ყველაზე დიდი მანკიერი მხარეა.

ნეტა ვინ მოიგონა?

— რომ არ მომკვდარიყო, ახლა გენერალი იქნებოდა. ან — რომ არ მოეკლათ, ლეიტენანტი კი არა, ახლა გენერალი იქნებოდაო.

კაციშვილმა არ იცის, რომ არ მოეკლათ, იქნებ ის ლეიტენანტობაც ჩამოერთმიათ. ვინ იცის?

...

ჰო, ადამიანი მაღაროში, მიწის ქვეშ ისე ცხოვრობს, როგორც თავისი დედის საშოში. როცა შეეჩვევა, იქ ძალიან თბილა და მყუდროებაა.

...

— რატომ დაინგრა ბაბილონის გოდოლი?

— იმიტომ რომ, მისი მშენებლები ყველა გამკვლელ-გამომკვლელის რჩევა-დარიგებას უგდებდნენ ყურს.



...

— აუ, რამდენი დრო მაქვს გაფლანგული, ბუღალტერი რომ ვიყო და რევიზია რომ დამეცეს, ალბათ, დახვრეტას მომიხჯიდნენ.

— გამორთეთ სიბნელე!!!

...

„პრავადნიკა“ ქალმა ბუასილის წამალი მასწავლა:

— რა ვქნა, სხვა არაფერი არ ვიციო.

...

ომის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება მხოლოდ იმას ძალუძს, ვისაც ომის დაწყება ძალუძს.

...

შინაური კახური ღორი თავისი გრძელი დინგით, ყალფზე შემდგარი ჯაგრით, სიჭრელით და ვაზის საცეცივით დაგრეხილი კუდით ისე ძალიან ჰგავს გარეულ ღორს, რომ შინაურობას მხოლოდ იმით მიხვდები, რომ, როდესაც მიუახლოვდები, ჩვეულებრივი ნადირით არ გაგექცევა, ისე თავზე კი შეიძლება დაგესხას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახლად დაყრილი გოჭები ჰყავს, და იმ გოჭებს მიფერება დაუპირე ან უდიერად მოექცევი. ამ მიზეზით რამდენ ბრაკონიერს უმართლებია თავი მონკაგშირშიც და სასამართლოშიც.

— რა ვქნა, კაცო, გარეული მეგონაო.

ცივგომბორს რომ გადაივლი და თელავისკენ დაეშვები, ვიდრე თელავში შეხვალ, მდინარე შეგხვდება პატარა, „მღვრიე“ ჰქვია. მე რამდენჯერაც ვნახე ეს მდინარე, იმდენად დაწმენდილი და ანკარა იყო, სიამოვნებით დავლიე კიდევაც და დღემდე არ ვიცი, რატომ ჰქვია „მღვრიე“. კახელი კაცის ბუნება ამშიც ჩანს. ნახა და „მღვრიე“ შეარქვა, შეარქვა და აღარ გადაარქვა. სწორედ ამ მდინარე „მღვრიეს“ ჭალაში გავიცანი კახური ღორი, რომლის შესახებაც ახლა ამბის მოყოლას ვაპირებ...

(აქ წყდება ჩანაწერი)



...

„ზარია ვოსტოკას“ დერეფანში ვნახე გამოკრული ცხრილი ჭადრაკის პირველობისა. ტურნირში 15 კაცი მონაწილეობდა. მათ შორის იყო რედაქტორი ჩხიკვიშვილიც. საინტერესო ის იყო, რომ რედაქტორის გარდა, ყველას ჰქონდა წაგება ან ფრე.

...

იმდენი იძახა ამ მამაძაღვმა ბოლშევიკმა „ნაპერწკლიდან ცეცხლი აინთებაო“, სანამ არ აუხდა.

...

სამგლოვიარო გვირგვინზე ასეთი წარწერა გაეკეთებინათ: „ძვირფას და დაუვიწყარ აგრაფინას ნინოშვილის ქუჩის ქალებისაგან“.

...

სავარაუდოა, რომ შოთას შუბი და ფარ-შიმშერი ხატოვნად აქვს ნათქვამი და იგი სამეფო ხმაღს, ძალაუფლებას, მეფის სტატუსს ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით.

რალა თქმა უნდა, როდესაც თამარი თავის ქმარს სალაშქროდ უშვებდა, თავის უზენაეს, შეუზღუდველ უფლებებსაც ანიჭებდა ბრძოლის დროს, რადგან თვით არ შეეძლო, როგორც მეფეს, ბრძოლაში მონაწილეობა.

ამრიგად სტროფი:

„ვის შვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, — მეფისა მზის თამარისა...“

იმას კი არ ნიშნავს, რომ დავით სოსლანი მეფე თამარის ლომია და ფარ-შიმშერის ხმარება შვენის, არამედ იმას, რომ ლომს ანუ დავით სოსლანს თავის ფარ-შიმშერის ანუ სამეფო საჭურველის, საჭურველისა, რომელიც მეფის ძალაუფლებას გამოხატავს, იმ საჭურველის ხმარება შვენის.

შოთასაც ხომ ასე უწერია ყოველგვარი ჩართული წინადადებების გარეშე, მარტივად და გასაგებად.



...

არაფერი არასდროს ისე სამარცხეინოდ და თავისმომჭრელად არ ითვლებოდა საქართველოში, როგორც უპატიოსნება და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდს მეგრულად მახინჯი ჰქვია და ეს მახინჯი საქართველოში ერთიც რომ იყოს, მაინც უნდა გადაშენდეს, რამეთუ ბრძნული ქართული ანდაზა დადადებს: „ას მშენებელს ერთი მნგრეველი აუთავდებაო“.

...

ერი და ერისკაცი ერთმანეთს ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ.

...

უკან ჩამორჩენილი მწერალი წინ მიმავალ ხალხს ვერაფერ სულიერ საზრდოს ვერ მიაწვდის.

არაფერს ზებუნებრივსა და არარსებულს მწერლობა არ ქმნის. მწერლობა ხალხის წიაღში ეძებს განძს დღენიადაგ, პოულობს მას და შემდეგ ხალხსავე უბრუნებს მხატვრულ ფორმაში მისსავე სიბრძნესა და სიკეთეს.

ხალხის სულიერი აღზრდა, სულის სისპეტაკე და სიწმინდე ბევრად არის დამოკიდებული მწერლობაზე. ჩვენ, მწერლებს, არანაკლები ზრუნვა მოგვიწევს საკუთარი სულის სიწმინდისა და სისპეტაკის სრულყოფისთვის.

ამ ბოლო დროს ერთობ მომრავლდა, ეგრეთ წოდებული, დოკუმენტური პროზა და სიმართლეს ამოფარებული ლიტერატურული წუნი. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ყველა სიმართლე და მართალი ამბავი ლიტერატურა როდია. სიმართლემ და ამბავმა, ვიდრე იგი ლიტერატურად იქცეოდეს, ისეთივე დიდი და მძიმე გზა უნდა გაიაროს, როგორც იყო გზა გოლგოთისაკენ...

მწერლობა სიმინდის ყანა არაა, შიგ თოხით რომ შეხვიდე, გლახა მოვჭრათ და მხოლოდ კარგი დავტოვოთ. იმ მიწაზე, რომელზეც ცუდი ბალახი არ ამოდის, კარგიც არ იხარებს. მწერლობა უფრო მსხმოიარე ხესა ჰგავს, რომელზედაც მეზღვე მკვასხე ნაყოფს დამწიფებას აცლის, მწიფეს ჰკრეფს, დამპალი კი ცვივა და ნეშომპალად იქცევა.



...

დედამიწა ის სულელი სახედარი როდია, იმდენი აიკიდოს, რამდენსაც ვერ ზიდავს. არც ის ხეა, იმდენი მოისხას, რომ ტოტები დაემსხვრეს.

დედამიწა კანიბალია, იგი თვისივე სხეულით იკვებება. რუსები ამას „самопожирание“-ს უწოდებენ. პარადოქსი ის არის, რომ ეს კანიბალი კი არ ხდება, სუქდება.

...

გიჟუასთან საუბარი:

— სდრავსტუი, ბრატ. შენი წიგნები წავიკითხე. სპასიბო. ქურდობას თავი დავანებე.

— გამოსწორდი?

— არა, იუზგარ. 68 წლისა ვარ და ვეღარ გავრბივარ.

...

— დაფიქრდი მაინც, ბიჭო, რას ამბობ. ხომ არ შეიძლება იმაზე მეტი მოგცე, რაც აგურში მივეცი!

— მაშ ექიმი რომ მოგყავს, იმაზე მეტს არ აძლევ, წამალი რომ ღირს?!

...

— რა ვიცი, ბატონო, რაფერ ჩავვარდი პლენად. საჯავახოში სამხედრო კომისარმა ევგენია კუტუბიძემ რომ ჩამსვა ვაგონში, მერე გერმანელმა გამიღო კარი.

...

„მაქვს მკერდს მიღებული ქნარი, როგორც მინდა“ — მთელი კაცობრიობის შემოქმედთა ოცნებაა გამოთქმული ამ ორ სტრიქონში, ლექსში კი — განხორციელებული.



...

ურმულივით შორიდან მომესმი, ურმულივით ჩამიარე და ურმულივით დაიკარგე.

...

ილიკო მეველე: — ცხენიდან რომ ჩამოვედი, ცხენი გამექცა და ძროხა როგორ დამეჭირაო?

ლასარიას თხა მოხსნა ლობეზე და კანტორაზე აიყვანა. რატომ დაიჭირეო და კანტორაზე მივდიოდი და ცარიელი ხომ არ ავიდლოდიო?

...

კაცობრიობას ჰგონია, რომ მან რაღაცა უკვე ააშენა — სინამდვილეში ჯერ არაფერიც არ აუშენებია — იგი მხოლოდ აშენებს საძირკველს რაღაც გრანდიოზულისათვის, თვითონაც რომ წარმოღგენა არა აქვს.

...

წლოვანება, 10 წელი, დაიკლო ეფროსინემ გათხოვებისას. ახალი საპენსიო კანონის დროს ახტა, პენსიას მივიღებო, მაგრამ ვერ მიართვეს.

...

ციხის „ვალჩოკში“ ქერა თვალიც შავი ჩანს, ამიტომ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს სულ ერთი თვალი გიყურებს. ერთი, ღამესავით შავი და ბოროტი თვალი.

...

რომ დამაგვიანდება და მილიციაში, საავადმყოფოში და საგიჟეთში რეკავ, ერთხელ საჯაროში ან აკადემიაში დარეკე, იქნებ იქა ვარა.

...

ყველაზე მეტი ენა მსოფლიოში ღმერთმა იცის. ყველას თავის



ენაზე ელაპარაკება.

ყველა გლახა იესო ქრისტე არ არის.

...

— როგორ ცხოვრობ, ბიჭო, სამ ცოლს რომ აღიმენტს უხდი?

— ჩემს ცოლს შემოაქვს აღიმენტი 4 ქმრისაგან და იოლად გავდივართ.

...

ჩვენ ხშირად გვეშინია სიტყვა გენიოსის ხმარებისა. საშიში არაფერია, იგი ასეა განმარტებული ლექსიკონში: „უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მატარებელი ადამიანი“.

საშიში მხოლოდ ის არის, რომ ეს განმარტება ვინმე უღირს ადამიანს არ მივუსადაგოთ, თორემ ნიკო ლორთქიფანიძის მიმართ ეს განმარტება იმდენად ბუნებრივია და სისხლხორცეული, რომ ხანდახან გიკვირს კიდევ, ნუთუ ეს არ იცოდნენ მისმა თანამედროვეებმა, ნუთუ თავიდანვე ვერ გრძნობდნენ ამას!

შესაშური ბიოგრაფია აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს. გაიხსენეთ, რომელი მწერლის ბიოგრაფიას ამშვენებს საქართველოში, და თუნდაც მის გარეთ, ორი დუელი, არა პირადი ღირსების, არამედ სამშობლოს, ერის წმინდა სახელისა და ღირსების დასაცავად.

...

ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს — უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს, უფრო მეტიც — ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიმიშელეს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეეგუება.

...

პირდაპირ განსაცვიფრებელი ფენომენია ქართული სიმღერა, სასწორზე რომ დადო, ოქროს ზოლივით აიწონება. მაგალითად, „მრავალჟამიერი“ მილიონ ტონას აიწონის. ავიღოთ თუნდაც გურული ანდა სვანური სიმღერა. ყველა სიმღერას თავისი წონა აქვს, მაგრამ მეგრული სიმღერა მზის სხივსა ჰგავს — საიდანღაც მოდის შორი-



დან, ძალიან შორიდან... „ვოი ნანა, დიდავოი ნანა“. ამ სიმღერას ვერ აწონი, ამას წონა არ აქვს, ეს მზის სხივია, საიდანღაც შორიდან მოდწეული...

რასაც ახლა ვიტყვი, ალბათ დიდი ხნის აღმოჩენილია, მაგრამ ამ აღმოჩენებს ჩემთვის ვაკეთებ. სულ ერთი კვირის წინ აღმოვაჩინე, რომ ფრანგული სიტყვა ლაზარეთი, რომელიც ლექსიკონში სავსევე ჰოსპიტლად არის განმარტებული, ლაზარედან მოდის. ამას რომ მიხვდე, აუცილებელი არ არის იყო ენათმეცნიერი ან ლინგვისტი. მერე ერთ ლინგვისტს გაეუმხილე ვარაუდი, ალბათ ლაზარედანაა, ქრისტემ რომ გააცოცხლა ლაზარე-მეთქი. ძალიან გაუკვირდა.

შემდეგ ლექსიკონში ჩავიხედე, ბერძნულად „ლაზარე“ — ღვთის წყალობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ღვთის წყალობაა, კაცს რომ გააცოცხლებ. თქმა არ უნდა, ეს შეიძლება ლინგვისტმაც არ იცოდეს. ლაზარე რომ იცოდე, სახარება უნდა გქონდეს წაკითხული, ხოლო ჩვენი ლინგვისტების უმრავლესობას სახარება არა აქვს წაკითხული, თანაც უნდა გქონდეს წაკითხული ოთხთავი მთლიანად, იმიტომ, რომ ლაზარეს სასწაული მარტო იოანეს სახარებაშია. ეს თუ არა გაქვს წაკითხული, ვერ მიხვდები. ასე რომ, ეს აღმოჩენა ჩემი უმეცრების ბრალი კი არ არის, არამედ იმის დამსახურებაა, რომ ოთხივე სახარება წაკითხული მაქვს და მიხვდი, ის ლაზარეა... იმიტომ ვფიქრობ, რომ ოთხთავი ენათმეცნიერსა და ლინგვისტს მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, როგორც სავალდებულო წიგნი. ძველ აღთქმაზე აღარაფერს ვამბობ.

...

სულ რამდენიმე პროფესიაა დედამიწაზე, რომელიც ძალიან ჰგავს მწერლის პროფესიას:

1. მარგალიტის მაძიებელი
2. ექიმი
3. არტეზიული ჭის მთხრელი საპარაში
4. მშენებელი
5. ჯარისკაცი

ზოგიერთ ბრივეს მწერალი მწვერვალთა დამპყრობი ჰგონია. მოვიდა მწერალი, შეუდგა თავის ოლიმპს თუ ჯომოლუნგმას, თუ დაიპყრო, ხომ კარგი, თუ არადა ან მოკვდება, ან შუაგზიდან მობრუნდება, ანდა დაპყრობის შემდეგ დაუძლურებული და გაბითურებული დაბრუნდება უკან.



არა, მწერალი თავად აშენებს თავის პირამიდას, სვეტსა და მწვერვალს. და ქვევით იმიტომ კი არ ეშვება და ბრუნდება, რომ ბითურდება (ჯერ ერთი, ის რად ღირს, ქვეყანას რომ ზემოდან გადმოხედავ არწივივით), არამედ იმიტომ, რომ დაეშვას, განზე გადგეს, მისი და მის მიერ შექმნილის პროპორცია დაინახოს და ახლა ქვევიდან დატკბეს თავისი აშენებული ტაძრის, სვეტის თუ პირამიდის სიმაღლითა და მშვენიერებით. ეს, მხოლოდ ეს არის მწერლის მისია და მოვალეობა. ესეც რომ არ იყოს, ადამიანი რამოდენიმეჯერ აშენებს პირამიდებს და რამოდენიმეჯერ ადის და ჩადის.

იმ მწვერვალზე, სვეტზე, პირამიდაზე და ტაძრის გუმბათზე დარჩენა, დგომა და ჯდომა, პატივმოყვარე კრეატივთა ავადმყოფობა და ლტოლვაა. ყველაფერი ეს მკვდართა, გარდაცვლილთა ხვედრია და ბედნიერია ის გარდაცვლილი შემოქმედი, რომელსაც შთამომავლობა მის მიერვე აშენებულ პირამიდაზე, სვეტზე, მწვერვალზე აიყვანს ან მის მიერ ნაგებ ტაძარში შეასვენებს. სხვა გზა არ არსებობს, მხოლოდ ასე.

...

შენი იყოს ეს ლექსი, მე რად მინდა, მეტი მაინც არ მაქვს და...

...

„Обезпечённый“ — ღვიძლამოჭრილი, ღვიძლგამოცლილი ოპერაციის შემდეგ ან უპეჩენიო მალაზიის დირექტორი ან თვითონ მალაზია.

...

მწერალი პერპეტუუმ მობილე არ გახლავთ. მწერლის ცხოვრებაშიც ღგება კრიტიკული მომენტი, როცა იგი შემოქმედებითად იხარჯება და თავდება. ამას სხვაზე უკეთ თვითონ მწერალი გრძნობს, მაგრამ ვერ თმობს ვერც თანამდებობას და ვერც ადგილს. ეშინია დათმობა იმ ადგილისა, რომელზეც თავისი ცხოვრების უმეტესი დრო გაუტარებია. ეს შიში გასაგებია, რადგან, სამწუხაროდ, არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, როგორ მისცემია დავიწყებას საზოგადოებრივი ასპარეზიდან წასული მოღვაწე.



მინაო ძართლისა!

მე ვარ თესლი ჩამოვარდნილი შენს მაცოცხლებელ ხნულში. გამაღვივე, აღმომაცენე და მამძლავრე, მამულო ჩემო!

დედაო ქართლისა, მე ვარ პირშო შენი, მასვი რძე შენი, დამაყენე ფეხზე, გამიმაგრე მუხლი და მატარე შენს კურთხეულ მიწაზე.

ხეცაო ქართლისაო, არ ჩამიქრო შხე ცის ლაჟვარდებში, არ მომაკლო სითბო და სხივი მაცოცხლებელი მისი.

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“. მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში და ამიტომ მივმართავ მიწასა და ცას ქართულსა, მე მჯერა, რომ გამიგონებენ ისე, როგორც თავის დროზე გაუგონეს მათ აკაკი წერეთელს.

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია — ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

ადამიანის სული სხეულზე გაცილებით მძიმეა, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ როგორმე უკვდავევით ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე — სხვისი. გარდაცვალების შემდეგ რომ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

...

ახლა, როცა ხელოვნება ასე დაშორდა სინამდვილეს, ჩემის აზრით, უდიდეს ხელოვნებას წარმოადგენს უკიდურესი ბუნებრიობა!!!

